საიდ. N74278/03

IR 1176268

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №170-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ლ. კერესელიძე, ს. დუმბაძე, ლ. ახობაძის მდივნობით განიხილა კომპანიის ,,ეგიშ დიოდისერდიარ ზრტ." (EGIS GYÓGYSZERGYÁR Ztr.) (მის.: კერესტური უტ. 30-38, H-1106 ბუდაპეშტი, უნგრეთი; Keresztúri út 30-38, H-1106 Budapest) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №170-03/14), რომლითაც მოითხოვება ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 ივლისის №1898/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის

,,FILGRAM“ (საიდ. N74278/03 IR 1176268) დაცვის მინიჭება მე-5 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 ივლისის №1898/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „FILGRAM" (ლათინური ანბანით შესრულებული), ჟღერადობით მსგავია, შპს „ავერსი-ფარმა“-ს სახელზე რეგისტრირებულ ლათინური, ქართული და კირილიცა ანბანით შესრულებული ნიშნისა: „ფილიგრა Филигра Filigra“ (რეგ. N22764, რეგ.თარიღი: 13/07/2012), დაპირისპირებული ნიშნები მხოლოდ ორი ასოთი განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას მე-5 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვალისათვის. ზემოთქმული, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს ნიშნის დაცვაზე უარის თქმის საფუძველს, რის გამოც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „FILGRAM" უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანიის ,,ეგიშ დიოდისერდიარ ზრტ.“ (EGIS GYÓGYSZERGYÁR Ztr.) წარმომადგენელი ლილიანა დარახველიძე, არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

განცხადებული ნიშანი ,,FILGRAM“ (N74278/03 IR 1176268) და დაპირისპირებული ნიშანი „ფილიგრა Филигра Filigra“ (რეგ. N N22764), განსხვავდება ერთმანეთისგან ფონეტიკურად და გრაფიკულად:

აპელანტი განმარტავს სასაქონლო ნიშნების ფონეტიკურ განსხვავებას: განცხადებული ნიშანი გამოითქმის, როგორც ,,ფილ-გრამ” და შეიცავს შვიდ ბგერას,

რომელიც ქმნის ორ მარცვალს. დაპირისპირებული ნიშანი, გამოითქმის როგორც ,,ფი-ლი-გრა", სადაც შვიდი ბგერა ქმნის სამ მარცვალს. ამასთან, ნიშნების ბგერითი შემადგენლობა არ არის იდენტური, ისევე როგორც მათი დაბოლოვება.

აპელანტი განმარტავს ასევე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების გრაფიკულ განსხვავებას: განცხადებული ნიშანი შესრულებულია ლათინური ბეჭდური ასოებით და შეადგენს ერთ სიტყვას, მაშინ, როდესაც დაპირისპირებული ნიშანი შედგება სამი სიტყვისაგან ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. შესაბამისად, დაპირისპირებულ ნიშანში გამოყენებულია ქართული და კირილიცას ანბანის ასოებიც. აქედან გამომდინარე, ნიშნების ვიზუალური შედარებისას, არ რჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი ერთი და იმავე მფლობელს ეკუთვნის.

გარდა ამისა, აპელანტი თანახმაა შეზღუდოს განცხადებული საქონლის ჩამონათვალი შემდგენაირად: ,,05 - ადამიანისთვის განკუთვნილი ფარმაცევტული პრეპარატები ონკოლოგიაში და იმუნოთერაპიაში გამოყენებისათვის (05 – Human pharmaceutical praparations for use in the oncological and immunotherapeutic fields).

აპელანტის აზრით, საქონლის შეზღუდვის პირობებში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოხდება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების აღრევა, მით უმეტეს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პრეპარატები, გაიცემა მხოლოდ რეცეპტით ამავე დროს, ზოგიერთ შემთხვევაში ამგვარი პრეპარატები მხოლოდ კლინიკებს მიეწოდებათ და არ არის წარმოდგენილი საცალო გაყიდვაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 ივლისის №1898/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის ,,FILGRAM" (საიდ. N74278/03 IR

1176268) დაცვის მინიჭებას მე-5 კლასის საქონლის შეზღუდული ჩამონათვალისათვის.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგია იზიარებს აპელანტის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ დაპისპირებული სასაქონლო ნიშნები არ არის აღრევამდე მსგავსი.

განცხადებული ნიშანი ,,FILGRAM“ (IR 1176268) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „ფილიგრა Филигра Filigra“ (რეგ. N22764), განსხვავდება ფონეტიკურად და გრაფიკულად.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება შვიდი ასოსგან და და ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის როგორც ,,ფილგრამ“, მაშინ როდესაც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, გამოითქმის, როგორც ,,ფილიგრა“. განსხვავებულია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების როგორც მარცვლების ჟღერადობა, ასევე დაბოლოვებები. შესაბამისად, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების ფონეტიკური განსხვავებიდან გამომდინარე, არ მოხდება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის მწარმოებლის მიმართ.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია ვიზუალურად. ნიშნებს შორის ვიზუალურ განსხვავებას ხაზს უსვამს ის გარემოება, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, ლათინური ანბანის გარდა, შეიცავს ასევე ქართული ანბანითა და კირილიცაზე შესრულებულ სიტყვიერ ელემენტებს.

გარდა ამისა, სააპელაციო პალატის კოლეგია მხედველობაში იღებს აპელანტის მიერ წარმოდგენილ მე-5 კლასის საქონლის შეზღუდულ ჩამონათვალს და მიიჩნევს, რომ კლასების შეზღუდვის პირობებში, როდესაც განცხადებული სასაქონლო ნიშანი დაცული იქნება მე-5 კლასის ისეთი საქონლისათვის (ადამიანისთვის განკუთვნილი ფარმაცევტული პრეპარატები ონკოლოგიაში და იმუნოთერაპიაში გამოყენებისათვის), რომელიც გამოიყენება მედიცინის სფეციფიკურ სფეროში, კერძოდ, ონკოლოგიასა და იმუნოთერაპიაში და მათი შეძენა შესაძლებელი იქნება მხოლოდ რეცეპტის საშუალებით, აღარ იარსებებს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების აღრევის შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის ,,FILGRAM“ (საიდ. N74278/03 IR 1176268) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი და სასაქონლო ნიშანს უნდა მიენიჭოს დაცვა საქონლის შეზღუდული ჩამონათვალისათვის.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის კომპანიის ,,ეგიშ დიოდისერდიარ ზრტ.“ (EGIS GYÓGYSZERGYÁR Ztr.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №170-03/14) დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 ივლისის №1898/03 ბრძანება ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,FILGRAM“ (საიდ. N74278/03 IR 1176268) მიენიჭოს დაცვა მე-5 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალისათვის: ,,05 - ადამიანისთვის განკუთვნილი ფარმაცევტული პრეპარატები ონკოლოგიაში და იმუნოთერაპიაში გამოყენებისათვის (05 – Human pharmaceutical praparations for use in the oncological and immunotherapeutic fields).

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ს. დუმბაძე

ლ. კერესელიძე